

დებულება

სტუდენტთა პერსონალური მონაცემების ავტომატურად დამუშავების წესის შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომი-უნივერსიტეტი) ელექტრონული სერვისების სისტემაში (vici.gtu.ge) სტუდენტთა პერსონალური მონაცემების (შემდგომში - მონაცემები) ავტომატური დამუშავების და მონაცემთა ბაზის ადმინისტრირების წესს, პირობებს, ასევე, მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანისათვის პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით სტუდენტების პერსონალურ მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

2.1.2. ელექტრონული სერვისების სისტემა (vici.gtu.ge) - უნივერსიტეტის სერვერზე განთავსებული ბაზა, სადაც ავტომატურად მუშავდება სტუდენტების პერსონალური მონაცემები;

2.1.3. მონაცემთა ავტომატური დამუშავება – მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავება;

2.1.4. მონაცემთა დაბლოკვა – მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება;

2.1.5. სტუდენტი - უნივერსიტეტში უმაღლეს, პროფესიულ და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული პირი.

2.2. ამ მუხლის პირველი პუნქტში მოცემულ ტერმინების გარდა, დებულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

3.1 მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

3.1.1 მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად;

3.1.2 მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

3.1.2 მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი;

3.1.3 მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;

3.1.4 მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

მუხლი 4. ელექტრონული სერვისების სისტემა (vici.gtu.ge)

4.1. ელექტრონული სერვისების სისტემა (vici.gtu.ge) (შემდეგში - სისტემა) წარმოადგენს უნივერსიტეტის სერვერზე განთავსებულ ბაზას, სადაც აისახება მონაცემები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4.2. სისტემაში შეიტანება სტუდენტის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
- ბ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც განხორციელდა ჩარიცხვის უფლების მინიჭება;
- ე) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები, GPA დინამიკა;
- ვ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის საფასური და ინფორმაცია გადახდების თაობაზე;
- ზ) ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მათ შორის, ბრძანების ნომერი და თარიღი);
- თ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

4.3. სისტემაზე წვდომისათვის საჭიროა მომხმარებელმა გაიაროს ავტორიზაცია.

4.4. ავტორიზაციის გავლის შემდეგ თითოეულ მომხმარებელს სისტემაში გააჩნია მონაცემებზე მისთვის მინიჭებული წვდომის მასშტაბი.

4.5. პაროლით სარგებლობის შეუძლებლობის შემთხვევაში, პაროლის აღდგენა შესაძლებელია სისტემისთვის მიმართვის საფუძველზე, მისთვის სისტემაში რეგისტრირებულ ელექტრონულ ფოსტაზე პაროლის გაგზავნის გზით.

4.6. სისტემაში შესაბამისი თანამშრომლის/თანამშრომლების მომხმარებლად რეგისტრაცია და შესაბამისი უფლების/უფლებების მინიჭება კონკრეტული პირისათვის ხორციელდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 5. მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი

5.1. სისტემის ადმინისტრირებაზე და მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, მის შენახვაზე, დაბლოკვაზე, წაშლა ან/და განადგურებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი (შემდგომში-დეპარტამენტი).

5.2. დეპარტამენტის მიერ მონაცემების დამუშავება ხორციელდება სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

5.3. დეპარტამენტის მიერ მონაცემები უნდა დამუშავდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტით ან ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება.

5.4. დეპარტამენტი ვალდებულია მონაცემთა დასაცავად მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები და მონიტორინგი გაუწიოს მონაცემთა დამუშავების პროცესს.

მუხლი 6. ავტომატურ მონაცემთა უსაფრთხოება

6.1 მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან , შეცვლისაგან , გამჟღავნებისაგან , მოპოვებისაგან , ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

6.2 დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

6.3 მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.

მუხლი 7. სისტემაში არსებული მონაცემების კონფიდენციალობა და შენახვის ვადა

7.1. სისტემაში ასახული პერსონალური მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის და დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2. სისტემაში ასახულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა გააჩნია:

- ა) დეპარტამენტის პერსონალს, რომელთაც გააჩნიათ სისტემაში მონაცემებზე წვდომის შესაბამისი მასშტაბი;
- ბ) უნივერსიტეტის პერსონალს, რომელთაც საკუთარი უფლება-მოვალეობის შესრულების მიზნით ესაჭიროებათ მონაცემებზე წვდომა და გააჩნიათ სისტემაში მონაცემებზე წვდომის შესაბამისი მასშტაბი;
- გ) სისტემის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ სისტემის შექმნაში (დეველოპერი), დახვეწაში ან/და მართვაში;
- დ) სხვა პირებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.3. სისტემაში ასახულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები ვალდებული არიან დაიცვან სისტემაში ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობა, არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. სისტემაში ასახული პერსონალური მონაცემები ინახება:

- ა) აქტიური და შეჩერებული პირების შესახებ - აქტიური/შეჩერებული სტატუსის განმავლობაში;
- ბ) შეწყვეტილი სტატუსის მქონე და კურსდამთავრებული პირების შესახებ - ელექტრონულად არქივდება და ინახება 75 წლის განმავლობაში. დაარქივებული მონაცემები ხელმისაწვდომი აღარ არის სისტემის მომხმარებლებისათვის. დაარქივებულ მონაცემებზე წვდომა ექნება უნივერსიტეტის რექტორის აქტით განსაზღვრულ პირს/პირებს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. 75 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ - მონაცემები წაიშლება.